Sylitol® Konzentrat 111

საგრუნტავი და გამათხელებელი მასალა, შიდა და გარე სამუშაოებისთვის.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

მინერალური ზედაპირების გასამყარებელი და ზედაპირის გასათანაბრებელი საგრუნტავი მასალა, მაღალი ან არა თანაბარი შეწოვის მქონე ზედაპირებისთვის. ასევე გამოიყენება Sylitol® -ის საღებავების და ბათქაშების გასათხელებლად. არ გამოდგება სუფთა სილიკატური საღებავებისთვის. Sylitol® NQG და Sylitol® NQG-W - სათვის გამოიყენეთ მხოლოდ Sylitol® NQG კონცენტრანტი.

თვისებები

- წყალდისპერსიული
- შეღწევადობის კარგი უნარი
- კონცენტრირებული
- გამხსნელების გარეშე

მასალის შემკვრელი

კალიუმის თხევადი მინა ორგანული სტაბილიზატორებით DIN 18 363 პუნქტი 2.4.1.-ის შესაბამისად

შეფუთვა

10ლ.

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ ადგილას, მოარიდეთ ყინვას. გახსნილ შეფუთვას თავი მჭიდროდ დაახურეთ. შეინახეთ მხოლოდ პლასტმასის შეფუთვაში. ვარგისიანობა - დაახლ. 12 თვე.

ტექნიკური პარამეტრები

- სიმკვრივე: დაახლოებით 1,1 გ/სმ3

ტექნიკური ინფორმაცია № 606 -ის მიხედვით, გამოყენების სფეროების განსაზღვრა

ინტერიერი 1	ინტერიერი 2	ინტერიერი 3	ექსტერიერი 1	ექსტერიერი 2
+	+	+	+	+
(–) არ არის შასაფერისი / (○) შეზღუდულად შესაფერისი / (+) შესაფერისი				

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

ზედაპირები უნდა იყოს სუფთა, განმაცალკევებელი ნივთიერებებისგან (ზეთები, ცხიმები) თავისუფალი, მშრალი. თანახმად სტანდარტისა VOB, ნაწილი C, DIN EN 18 363, პარაგრაფი 3.

ზედაპირის მომზადება

შესაფერისი ზედაპირების და მათი წინასწარი მომზადების შესახებ ინფორმაცია დეტალურად აღწერილია შეფუთვაზე მოცემულ ინსტრუქციაში.

CAPAROL

დატანის მეთოდები	Sylitol® Konzentrat 111-ის როგორც გამათხელებელი საშუალების გამოყენებისას გაითვალისწინეთ იმ Sylitol®-ის პროდუქტების ტექნიკური ინფორმაცია, რომელსაც ათხელებთ Sylitol® Konzentrat 111-ით. როგორც საგრუნტავი საშუალების გამოყენებისას, გააზავეთ პროდუქტი (1 – 1) წყლით, დაიტანეთ ფუნჯით ან სამღებრო გორგოლაჭით. საჭიროების შემთხვევაში დაიტანეთ სველი-სველზე მეთოდით.
ხარჯი	დამოკიდებულია ზედაპირის სტრუქტურასა და შეწოვადობის ხარისხზე. დაახლ. 100–350 მლ/მ^2 (წყლით გაზავებული). ზუსტი ხარჯი განისაზღვრება სასინჯი დატანით.
გამოყენების პირობები	**მინიმალური ტემპერატურა გამოყენებისა და შრობის პროცესში:** ჰაერისა და ზედაპირის მინიმალური ტემპერატურა უნდა იყოს +8 C.
შრობის დრო	20° C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი შემდგომი სამუშაოებისათვის მზადაა 12 საათში. დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება.
ხელსაწყოების წმენდა	გამოყენებისთანავე გარეცხეთ წყლით ან სარეცხი საშუალებით. შესვენების დროს შეინახეთ წყალში ან საღებავში.
შენიშვნა	არ გამოიყენოთ პირდაპირი მზის სხივების, წვიმის, უკიდურესად მაღალი ტენიანობის (ნისლი) ან ძლიერი ქარის დროს. მასალა გამოუსადეგარია წყლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ჰორიზონტალური ზედაპირებისათვის. **შეთავსებადობა სხვა პროდუქტებთან:** თავსებადია მხოლოდ სილიკატურ-დისპერსიულ პროდუქტებთან. Sylitol® Konzentrat 111-ის შერევა სხვა ნივთიერებებთან არ შეიძლება.

მითითებები

უსაფრთხოების ნორმები	მოარიდეთ ბავშვებს! მუშაობისას იზრუნეთ სამუშაო სივრცის საფუძვლიან განიავებაზე. არ ჭამოთ, არ დალიოთ და არ მოწიოთ ამ პროდუქტით მუშაობისას. თვალში ან კანზე მოხვედრისას დაუყოვნებლივ მოიბანეთ წყლით.კანზე მოხვედრისას დაუყოვნებლივ და გულდასმით დაიბანეთ წყლით და საპნით. არ დაუშვათ საღებავის მოხვედრა კანალიზაციაში, წყალსატევებსა და ნიადაგში. ხელსაწყოები დაუყოვნებლივ გარეცხეთ წყლით და საპნით. არ ჩაისუნთქოთ წარმოქმნილი "ღრუბელი" გამოიყენეთ კომბინირებული ფილტრი A2/P2. დაიცავით გარშემო არსებული ზედაპირები (განსაკუთრებით მინა, კერამიკა, ლაქი, კლინკერის აგური, ბუნებრივი ქვა, მეტალი და ხე) შხეფებისგან. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ უსაფრთხოების ფურცელი.
უტილიზაცია	მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებლია უტილიზირებულ იქნას როგორც ლაქის ან საღებავის დანაკარგი, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.
VOC (აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად)	პროდუქტის კატეგორია (A/c): 30 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 1 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).
პროდუქტის კოდი	M-SK01
შემადგენლობა	კალიუმის თხევადი მინა, აკრილის დისპერსია, წყალი, ადიტივები.
ტექნიკური კონსულტაცია	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge